სტამბა და რედაქცია
ტფილისი, სასახლის ქ.,
სათ.-აზნაურო ქარვასლა.
ხელის-მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიმართავენ რედაქციას დილის 10—3 საათამდე და საღამოს 6—7 და „წ. კ. საზ.“ წიგნის მაღაზიას.
ხელ-მოუწერავ წერილებს რედაქცია არ ბეჭდავს.
პირის-პირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველდღე.
ტელეფონი № 363

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური გამოცემა

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ერთის თვით 60 კაპ.
თითო ნომერი 3 კაპიკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ ვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე—5 კ.

Типографія и Редакція
„Цнобисъ Пурцели“
Гифлисъ, Дворцовая ул. д. Дворянства.
Телефонъ № 363

## ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 26 ნოემბერს
ქართული დრამატიული საზოგადოების არტისტებისაგან
ეფემია მესხის მონაწილეობით
ბენეფისი კ. ს. მესხისა
წარმოდგენილი იქნება

## კოტრი აზნაური

5 მოქმედ. კომედია, თარგ. ვ. აბაშიძისა

მომქმედნი პირნი:

| | |
|---|---|
| დონ-სეზარ დე-ბაზან, აზნაური | ბ. მესხი |
| მარიტანა, მომღერალი ქალი | ქ. ეფ. მესხისა |
| მთავარი არკოსისა | ბ. სვიმონიძე |
| სანტარენ, მინისტრი | ბ. კანდელაკი |
| მონტეფიორე, საქათმოთა დირექტორი | ბ. გედევანოვი |
| მარკიზა, ამისი ცოლი | ქ. ჩერქეზიშვილისა |
| ენრიკეზ, კაპიტანი | ბ. კავთელი |
| ლაზარილიო, პატარა ბიჭი | ქ. გარელი |
| პიპო, მსახური | ბ. აბაშიძე |

მხედარნი, ხალხი

ადგილების ფასი ჩვეულებრივია
დასაწყისი სწორედ 8 საათზე
რეჟისორნი ვ. აბაშიძე და კ. მესხი

— გაიგე?!
— რა?
— სანდროს ბათომში ლონდონი აუღია!!.
— ვინ სანდროს, რა ლონდონი... ბათომში ლონდონს რა უნდა?!
— ვინ სანდროს და ჩვენს სანდროს ბათომში სასტუმრო „ლონდონი“ აუღია.
— ეჰ, მეც არა ვსთქვი! კეთილი და პატიოსანი, მაშ ვესტუმროთ... მე ამ კვირია მაინც ბათომში მივდივარ და სანდროსთან ჩამოვხტები სასტუმრო „ლონდონში“.
— და სწორედ დიდ სიამოვნებასაც ნახავ. ხომ იცი, სანდროს პურ-მარილობა და მასპინძლობა. მერე რა რიგად მოუწყვია და მოურთავს სასტუმრო!

კვ[illegible]ას, 29 გიორგობისთვეს, საღამოს 6 საათზე ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში დანიშნულია

## საგანგებო კრება

ქართველთა სააღებ-მიმცემო ამხანაგობის

## „შუამავლისა“

კრება უსათუოდ შესდგება, მიუხედავად იმისა, თუ რამდენი დაესწრება მას წილის პატრონი.

კრებამ უნდა აღმოირჩიოს: 1) თავმჯდომარე კანტროლისა თანხმად წარსული წლიური კრების დადგინებისა და 2) ფირმის წარმომადგენელი, რომელიც თავს ანებებს 1899 წლიდან.

გარდა ამისა კრებას წარედგინება განსახილველად ზოგიერთი შინაური საქმეებიც.

წევრთ ამხანაგობისას არ გაეგზავნებათ ცალკე მოწვევის ბარათები.

(6—1)

ახლად შემდგარი სუფსის მეეტლეთა ამხანაგობა

## „კავშირი“

იწყებს თავის მოქმედებას პირველ ნოემბრიდან.

ეტლთა მიმოსვლა არის შედარებული მატარებლის მიმოსვლასთან. სუფსიდან გადის ომნიბუსი ქ. ფოთში დილის 10 საათზე, ბრუნდება 6 საათზე საღამოს.

ფასი დაწესებულია ერთი მანეთი
ამხანაგობის გამგე ბ. შ. კომასიძე
(15—7)

სამკურნალო და ამბულატორია

## ს. გ. თოფურიასი

ქუთაისში.

სამკურნალოში 50 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი,

გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან.

ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე· შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს ს. გ. თოფურია. საქირურგო ავადმყოფობას და სიფილისს ფ. ძ. გერრატი.

დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი მ. თ. კოგანი.

20 მაისიდამ—დედათა ავადმყოფობის და აკუშერობის D-r ფ. ბაცევიჩი.

თვალების ავადმყოფობას—ი. ძ. ვარშავსკი.

ამბულატორია ი არის კაბინეტია საქიმო და საბაქტეოროლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისათვისა და საქისთვის.

სამკურნალო [illegible]ირექტორი ს. გ. თოფურია.

*Лѣчебница В. С. Топурія* въ Кутаисѣ.

გამოვიდა და ისყიდება „წ.-კითხვის გამავრც. საზოგადოების“ წიგ. მაღაზიაში

## იუდა

(ნადსონისა)

ნათარგმნი ილ. ფერაძის-მიერ, გამოცემა ექ. ხელამისა. ფასი 3 კაპიკი.

ამავე ავტორის თხზულება: **Мысли Преосвященнаго Гавріила еписк. Имеретіи о воспитаніи дѣтей**“ ისყიდება ბ. ხიდდეკელის წიგნის მაღაზიაში, ფასი **20** კაპ.

(10—2).

დოქტორი მედიცინისა და ქირურგი

## ბენკლევსკი

ავადმყოფებს ღებულობს დილის 9—11 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

გრიბოედოვის ქუჩა, არშაკუნისეული სახლი № 30.

Докторъ медицины и хирургъ
**БЕНКЛЕВСКІЙ**
Грибоѣдовская № 30, д. бывш. Аршакуни. (წ.)

## ახალი ამბავი

—

*** კოტე მესხის ბენეფისი. პირველი ბენეფისი ამ სეზონში ერგო ჩვენს ნიჭიერს არტისტს და რეჟისორს კოტე მესხს. ბენეფისი დანიშნულია ხუთშაბათს, ამ თვის 26-ს. წარმოდგენილი იქნება ცნობილი პიესა „კოტრი აზნაური“. ამ წარმოდგენაში პირველად ღებულობს მონაწილეობას ჩვენი ნიჭიერი და საყვარელი არტისტი ქალი ეფემია მესხისა.

*** ქართული საღამო მოსკოვში. 14 ნოემბერს მოსკოვში გამართულ ქართულ საღამოს მრავალი საზოგადოება დასწრებია და ფრიად მხიარულად ჩაუვლია. სხვათა შორის, საზოგადოებაზე დიდი შთაბეჭდილება მოუხდენიათ ლეკურის თამაშით ქ-ნ არლანს და თავადს მ—ს, რომლებიც მრავალჯერ გამოუწვევიათ. საღამო შუაღამემდე გაგრძელებულა.

*** გემის დაღუპვა. ოჩამჩირედან ჩვენ მივიღეთ შემდეგი მეტად სამწუხარო დეპეშა: 21 ნოემბერს, მთვარიან ღამეში, ოჩამჩირესა და ანაკლიას შუა (ოჩამჩირეს მახლობლად) ერთმანეთის დაეჯახნენ ბარგის გემი „ეკატერინა II“, რომელიც ეკუთვნოდა რუსეთის საზღვაოსნო საზოგადოებას და „რუსეთის საზოგადოების გემი „პეტრე“, 300 მეტი მგზავრით. „ეკატერინა II“-მ ჩასძირა ათ წუთში. „პეტრე“, თვალსაჩინოდ დაზიანებული, ოჩამჩირეში გაბრუნდა. მოკლულ იქმნა 2 მატროსი და 5 დასახიჩრდა. დაიხრჩო: 4 მატროსი, ქალი [illegible] ქალიშვილი. ჯერ სხვა უბედუ[illegible] არ გამოურკვე-

ვიათ. გამოძიება სწარმოებს. „პეტრე“ მიდის ბათომში.

** **დვინის გაჭრობის საქმე.** იმ შეუმდგომლობის გამო, რომელიც არა ერთხელ აღუძრავთ მევენახეთ ღვინის თავისუფალ ვაჭრობის შესახებ, ფინანსთა სამინისტრომ გამოსთქვა, რომ იგი არ იწუნარებს მევენახეთა საჩივარს, თითქო ახალმა კანონმა გავლენა იქონია ღვინის გაყიდვის რაოდენობაზე და მევენახეთა კრიზისის მიზეზებს ხედავს ისეთ შინაურულ გარემოებაში, რომელსაც არავითარი კავშირი არ აქვს 1894 წ. 6 ივნისის კანონის მოთხოვნილებასთან.

** **გაჭართა საზოგადოების არჩევნები.** იმავე კრებაზე არჩეულ იქმნენ: საობლო სასამართლოს წევრებად—რ. ა. მარტიროსოვი და გ. გ. სარაჯიშვილი და მათ კანდიდატებად: ტ. ს. სტეფანოვი და ტერ-ოსეფიანცი; სახაზინო პალატის საზოგადო საკრებულოს წევრებად: ა. ი. მანთაშევი, ი. ა. მაღინოვი, ი. ი. წოვიანოვი და ა. თ. ფრიდონოვი, და მათ მოადგილეებად—მ. ი. დოლუხანოვი და პ. ი. ალიბეგოვი. ქალაქის ორბარჯის გამწერ საკრებულოს წევრებად—გ. კარიშოვი, ე. ი. აკოპოვი, ა. გ. ავეტისიანი, ნ. პ. ფრიდონოვი, ა. ნ. მილოვი, ს. გ. კახიშვილი და მათ მოადგილეებად—ნ. ა. არზუმანიანცი, ს. ს. გულიევი, ი. ა. გურგენოვი და ა. ა. ენფიანჯიანცი.

** **საკომერციო სასწავლებლის საქმე.** 22 ნოემბერს ტფილისის ვაჭართა საზოგადოებას ჰქონდა საზოგადო კრება, სხვათა შორის ტფილისის საკომერციო სასწავლებლის დაარსების შესახებ, რომლის წესდება უკვე დამტკიცებულ იქმნა მთავრობის—მიერ. კრებამ დაადგინა: მიენდოს ვაჭრობისა და მანუფაქტურის კომიტეტს ცნობების შეკრება იმის შესახებ, თუ რაოდენი დახმარების იმედი უნდა ჰქონდეს საზოგადოების საკრედიტო დაწესებულებთაგან და სხვა ქალაქის ვაჭართაგან, აგრეთვე გამართოს ხსენებულმა კომიტეტმა ხელის მოწერა ამავე საგანზედ და შედეგები აუწყოს შემდეგს კრებას. რომელიც მოწვეულ იქნება მომავალ წლის გაზაფხულამდე. ამავე კრებამდე გიდადებულ იქმნა სასწავლებლის სამზრუნველო საბჭოს არჩევნებიც.

** ბრძოლა ყაჩაღობასთან კავკასიაში. გაზ. „პეტერბ. უწყ.“-ში დაბეჭდილია წერილი—„როგორ მოვსპოთ ყაჩაღობა კავკასიაში“. გაზეთი ამ მიზნის მისაღწევად შემდეგს ზომებს ას... ბს: მიეცეს მთიულებს უფრო საკმარისი ადგილ-მამული, გაუმჯობესდეს მათი ყოფა-ცხოვრება გადასახადებისა და ბეგარის შემცირებით იმ დრომდე, როცა მათი ნივთიერი მდგომარეობა განმტკიცდება, მცხოვრებთა შორის მეურნეობისა, მრეწველობისა, აღებ-მიცემობისა და განათლების გაძლიერებით; გაუქმებულ იქმნეს ადმინისტრატიულ ჯარიმების არსებული წეს-რიგი, ნება მიეცეს მთიულებს დასახლდნენ ყველგან ქალაქისა და სოფლის წოდებაში ჩარიცხვის უფლებით; გაფართოვდეს მთიულების სწავლა-განათლების საქმე, დაარსდეს პროფესიონალური სკოლები, გავაცნოთ ისინი საზოგადო განათლების სკოლების საშინაო-მრეწველო და სამეურნეო წარმოებას, ხელი შევუწყოთ და წავაქეზოთ მთიულებში არსებული შინად-მრეწველობა და სხვა გვარი წარმოება, ძირეულად შეიცვალოს მათი მართვა-გამგეობისა და სასამართლოების საფუძველი.

** **მოსამსახურეს დამჭერთა საყურადღებოდ.** ქვემო ქალის საზოგადოების მამასახლისი ამით აცხადებს, ვისაცნებავსდაჭერამოსამსახურისა ქალისა ანუ კაცისა ქვემო-ქალის საზოგადოების სოფ. კასპის ალაიანის, ვაკეს, ოკმის, ლამისყანის, ხვითის, პანტიანის, ვაკეს, გოსაკასი, გამდლის წყაროსი, იგუეთისა, სამთავისისა, ქალის, მსხლების, აბრევის, უკუღმასოფლის, კოდისწყაროსი, ახალშენის და საკორინთლოს რგვალ ქალისა და ბოჟამისა—გორისმაზრისანია—მათუნდა მიაქციონ ყურადღება მასზედ აქვთ თუ არა მოსამსახურეთ კანონიერი ბილეთი, ხოლო როდესაც მოსამსახურეს იჭერენ ანუ როცა ის თავის ნებით მიდის დიდათ სასარგებლო იქნება, რომ იმავე ბილეთზედ მოკლეთ იყვეს დაწერილი როგორი ხასიათისა და ყოფაქცევისა იყო მოსამსახურე.

** ქ. შ. წ.-კით. გამავ. საზოგადოების მუზეუმს შესწირეს: 1) ეკატერინე ნიკოლოზის ასულმა ნაზაროვმა—23 ნაჭერი ძველი ფული ვერცხლისა, სპილენძისა და ნიკელისა. 2) თ. დავით მიქელაძემ—წერილი მარიამ დედოფლისა დავით იოსელიანის მიმართ. 2) მღ. იოანე გვარამაძემ—სომხური ხელთ-ნაწერი „პროკლე დიადოხოსის კავშირი“, გადართგმნილი ქართულიდგან. 4) ნიკოლოზ ზაქარიას ძე მთიაშვილმა—72 ნაჭერი ვერცხლისა და სპილენძის ძველი ფული და ქეტონები. 5) ზაქარია ივანეს ძე ჩხიკვაძემ—2 ნაჭერი სპილენძის ძველი ფული. 6) ანტონ ნიკოლოზის ძე ფურცელაძემ—1 ნაჭერი ვერცხლის ძველი ფული. 7) მანანა ზაქარიას ასულმა გეხტმანმა—განსვენებულის კნ. ბარბარე ჯორჯაძის ხელთ-ნაწერები. 8) მთავარმა ნიკოლოზ ოქრომჭედლიშვილმა—კურთხევანი და ჟამნი, დაბეჭდილი ვახტანგ მეფის დროს. 9) დარია სულხანიშვილისამ—ქართული, რუსული და ფრანგული წიგნები. 10) თეოდოტე სახოკიამ—ერთი ქართული ხელთ ნაწერი, 1 გაქვავებული ხის ნაჭერი და ოთხი სხვა და სხვა არქეოლოგიური ნივთი. 11) ფილიპე გურულმა—თოფის ლულის პატარა ნაჭერი. 12) თ. აკაკი წერეთელმა—15 ნაჭერი სპილენძის ძველი ფული. 13) ბართლომე ვარდიაშვილმა—5 ნაჭერი სპილენძის ძველი ფული. 14) ისაკ ბახტაძემ—1 ნაჭერი ვერცხლის ძველი ფული. 15) ალექსი ლალიაშვილმა—2 სპილენძის ფული რუსუდან დედოფლისა. 16) გიგო ყაჯარდუზოვმა—1 ვერცხლის ძველი ფული. 17) იოსებ ივ. კალანდაძემ—ხელთნაწერი სამართლის წიგნი მეფე ვახტანგისა. 18) ოლგა ნიკ. ბეჟანიშვილმა—ხელთ ნაწერი ჟამნი. 19) თ. გრ. ნიკ. დიასამიძემ—ორი ხელთ-ნაწერი (სულხან ორბელიანის ლექსიკონი და მარტირიკა ანტონ კათალიკოზისა) და ორი დაბეჭდილი წიგნი (სახარებანი წმ. დიდის ხუთშაბათისა, პარასკევისა და აღდგომისა და დაბადება ბაქარის გამოცემული). 20) გრ. ტატიშვილმა—ბზის ხისგან გამოჭრილი გული, დავრიშების სახმარებელი.

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობა დიდს მადლობას უძღვნის შემომწირველთ.

** **ჭალადიდი** (სამეგრელო). უცნაურად გადაკარგული. აგერ კვირა ნახევარი არის, რაც აქაური ერთი აზნაურშვილი, გადიკარგა, არავინ იცის, ცოცხალი არის თუ მკვდარი. ცოტა ჭკუაზე აირია, გამოვარდა კარში და გადიკარგა. საბრალოს დარჩა ხუთი შვილი და ყმაწვილი ცოლი, ერთი წლის შერთული მეორედ. ამგვარი ავადმყოფობა ეს მეორეთ დამართნია თურმე. პირველათაც ტყეში გაიქცა ამ ცხრა წლის წინად, როგორც იქნა ტყეშივე იპოვნეს, ერთი კვირის შემდეგ მწარედ, შიმშილისაგან დასუსტებული: ახლა-კი აგერ რამდენი ხანია დაეძებენ, მაგრამ ვერას გახდენ. ამას წინად ერთ მეურმეს დაუნახავს ტყეში, დაუძახნია თუ არა მეურმეს, ის მაშინვე გაქცეულა ტყეშივე.

— ბავშვების სულთამხუთავი სენი. ყოველისფრით რომ ღმერთს ხელი აუღია, სწორედ ეს უბედური დღეზე გაჩენილი ჭალადიდი არის. აგერ მესამე თვეა არ გაივლის ისე ... ერთი ... ირა, რომ ბავშვი არ იმ... ხვერპლოს სენმა: გააციებთ, ყელში რაღაც გამოებერებათ და უცბად იხჩვებიან, როგორც მელანი, ისე შავდება მიცვალებული. ვინ მოსთვლის, რამდენი ოჯახი აატირა ბავშვების დაკარგვამ, ექიმს და ფერშალს ფეხიც არ გამოუდგამთ აქეთ. თუმცა ბევრი ვიყვირეთ და დღესაც ბევრს ვყვირით, მაგრამ ვინ არის გამგონე! ვინ შედის ამ უბედურების მდგომარეობაში! ექვსი მატარებელი კი დადის დღეში ფოთიდან და სენაკიდან, რითაც ძალიან ადვილად შეუძლიანთ შემწეობა აღმოუჩინონ ექიმებმა და ფერშლებმა ავადმყოფებს და დიდი დროც არ დაეკარგებათ, რომელ საათზედაც უნდათ გაბრუნდებიან. 19 ნოემბერს ადგილობრივი მღვდელი ლვამიჩავა დილით წავიდა ფოთში, ხოლო საღამოს დაბრუნდა სახლში და ექვსი წლის ვაჟი მკვდარი დახვდა, სულ თურმე გაშავებული ასე უეცრივ გარდაიცვალა საღ-სალამათი ბავშვი, რომელიც სრულიად კარგად იყო და არა სტკივებია-რა. კარგია, რომ ვისაც ცოტა რამ ესმის, მიცვალებულს მარხავენ მალე და თავიანთ ჩვეულებას, როგორც სამეგრელოში აქვთ წესად შემოღებული, ტირილს არა მართავენ; მაგრამ ვისაც არ ესმის და ვერც ვერავინ ჩააგონებს რასმე, იმათ სამი-ოთხი დღე მიცვალებული სახლში უსვენიათ და თავიანთ ჩვეულებისამებრ, ტირიან და თავში იცემენ. ადვილი წარმოსადგენია, თუ ამისთანა შემთხვევებს რა შედეგიც მოსდევს. ამიტომ არის, რომ უფრო გაძლიერდა ეს სენი. საჭიროა ყურადღებას მიაქცევდეს, ვისიც ჯერ არს, თორემ გაძლიერებულ სენთან ბრძოლა მერე ძნელი იქნება.

დროებით ჭალადიდელი

** **დრანა** (აფხაზეთი) ახირებული ჩვეულების უსიამოვნო შემდეგი. თითო ახირებული ჩვეულება ყოველგან იციან, მაგრამ აქ რომ ერთი ცუდი ჩვეულება სცოდნიათ კორწილის დროს, ღმერთმა დაგიფაროს. ამ დღეებში აქ სოფ. ფშაფში ერთ მეგრელს სასძლო მოჰყავდა და როგორც საზოგადოთ მიღებულია, „კუჩხა ბედნიერის“ სიმღერით შეიყვანეს მაყრებმა სახლში. აქ დახვდებათ ყველა სტუმრები და ერთი მასპინძელთაგანი, რომელსაც $^{1}/_{4}$ გირვანქის ოდენა გამომცხვარი პური უჭირავს ხელში რაკი ყველანი შეიკრიბებიან სახლში, მასპინძელი შუაზე გაჰყოფს ამ პურს და ისვრის მაღლა. აი აქ არის საჭირო ვაჟკაცობა და გმირობის გამოჩენა,—კარგ ვაჟკაცად ის ითვლება, რომელიც ამ პურებს წაართმევს ყველას და თვითონ შეჭამს, აგრე შობდა ამ მექორწილეს სახლშიაც; შეიქნა ერთი

ურ-სური, ყვირილი, ქაცება, შეიჯგუფა ხალხი და ეს ჯგუფი ერთად სახლის შუაგულ დანთებულ ცეცხლში ჩაწვა, ცეცხლზედ ჯაჭვით ჩამოკიდული იყო დიდი ქვაბით ცხელი ხარშო, ეს ქვაბიც დაინძრა, ხარშო დაიღვარა, პირველად ერთს რვა წლის ბოვშვს გადაესხა ზურგზე და შემწვარი გოჭივით აუყენა კანი, მერმედ ორს მჯეელ ახალ გაზრდა ყმაწვილებს დაესხათ წელზე და საშინლად დააშავა. ქალებმა მორთეს წივილ-კივილი და ქორწილი ტირილათ შეიცვალა.

რასაკვირველია, ეს ყველაფერი ქმეცრების ნიადაგზედ აღმოცენებული, მაგრამ, სინამ კარგ მოწყობილ სკოლასა და სასწავლებელს ველირსებოდეთ, საჭიროა ადგილობრივმა მღვდელმა ყურადღება მიაქციოს ამ მოვლენას. მამობრივი დარიგებით და გონიერი ქადაგებით მღვდელს შეუძლია ბევრი სიკეთე შესძინოს თავის მრევლს, და ამისთვის ცოტა მაინც უნდა მიაცალოს, რადგან „ზრუნვა ხალხისათვის“ მისი წმიდა მოვალეობა არის.

დრანდელი.

*** **დ. აბაშა.** (სამეგრელო) ჩვეხი ავი და კარგი. ერთმა კეთილმა პირმა სოფელ აბაშიდან ჩვენი დაბა აბაშა მიწასთან გაასწორა: რკინის გზის სადგური ყელამდის ტალახში იყო ჩაფლულიო, ყოველ ფეხის გადადგმაზე ქურდობა ხდებოდაო, ბაზარში ცხენი იხრჩობოდა ტალახშიო და მრავალი სხვ... თითქოს აქამდის აბაშას არავინ ყოლოდეს უფროსი და კეთილის მზრუნველი! მაგრამ ჩვენ კი საქმეზე უფრო უარესებს ვხედავთ: 17 ნოემბერს საღამოს შვიდ საათზე თვალს შუა და ხელს შუა დუქნის წინიდან ვინღაც ხოშტარიამ მოისურვა უნაგირის მოპარვა ცხენიდამ, მიგრამ რაღამც უნაგირი ვერ მოასწრო ბალიში გამოაცალა უნაგირს და გაქუსლა; მარა ვინღაც მგზავრმა დაიჭირა. მეორე კიდევ ვიღაცას აქვე ბაზარის ახლო ნაჯახი და შინაური ხელ-საწყო მოჰპარეს. ჩვენს ბაზარშივე მესიმინდე ვაჭარს ერთმა ცუღლუტმა ვაჟბა[illegible]მა სამოცი ფუთამდე სიმინდი მოპარა და ისევ სიმინდის პატრონს მიჰყიდა! „თვალში ბეწვი ამოაძროვო“ რომ იტყვიან სწორეთ ამას ქვია! სად იყო ან ღამის ყარაული ან მზრუნველი! თუ-კი აქვე ცხვირთან ასეთი ამბები ხდება მოშორებით რაღა უნდა იქნეს.

— გაჭრის თანი. აქ ერთმა ვაჭარმა; რომელიც გატყავებულ ტარანას წააგავს, ერთი აქაური რკინის გზის სადგურის მოსამსახურე მეტად პატიოსანი კაცი შეაცდინა: ფასს დადებული საქონელი გამოართვა სკლადიდგან და, და[illegible] ამ კვირეში გამოვიყიდიო, მარა ბოლოს თითქმის უარი უთხრა, რის გამო კონდუქტორს ადგილიდან დაითხოვეს პატიოსანი ვაჭარი თუ გინდათ ეს არის! აბაშის ახლო-მახლო წრეულს გვარიანი მოსავალი იყო: უფრო მეტს მოელოდა მცხოვრები, მარა ქარმა და ცუდმა ამინდმა თითქმის გაანახევრა.

ვინც უნდა ვიყო

## ალექსანდრე თამაზიშვილის დასაფლავება

შაბათს, 21 ნოემბერს, დასაფლავებულ იქმნა ალექსანდრე თამაზიშვილი. დასაფლავებაზე კარგა ბლომა ხალხი დაესწრო. დრამატიული საზოგადოების წევრნიც დაესწრნენ, გარდა ზოგიერთებისა. ცხედარი ქართულ დასის არტისტებმა ასწიეს და წაასვენეს ეკკლესიაში, სადაც წირვის შემდეგ გარდახდილ იქმნა პანაშვიდი, ხოლო შემდეგ ცხედარი ვერის სასაფლაოზე წაასვენეს დასაკრძალავად.

გულის მომწყვლელ სურათს წარმოადგენდა მიცვალებულის ოჯახი. მშობლებისა და ცოლ-შვილის გოდებას უერთდებოდა ამხანაგთა და ნაცნობთა ტირილი, რომელიც ყველას თვალებზე ცრემლებსა ჰგვრიდა. მართალია, დიდი სათვალსაჩინო ადგილი არ ეჭირა მიცვალებულს სასცენო ასპარეზზე, მაგრამ ის აქ უუსაჭიროეს ელემენტს წარმოადგენდა. მით უფრო პატივსაცემია განსვენებული სანდრო, რომ სწავლა-მიუღებელმა კაცმა დასძლია მრავალი ძნელი დაბრკოლებანი და დაიმსახურა საზოგადოების ყურადღება. მხოლოდ სანდროს მომთმინო ხასიათს შეეძლო გარდაეტანა ყველა ის ზნეობრივი ტანჯვანი, რომელიც სცენარიუსის მოვალეობას შეადგენს. მას უყვარდა თეატრი და ყველა ადამიანურს ამაყობას, თავ-მოყვარეობას მასა სწირავდა. ქართულმა თეატრმა დიახ სასარგებლო მშრომელი დაჰკარგა. სანდროს სიკვდილი ერთი ლექსის აზრს გვაგონებს:

„ყველა სიკვდილის შვილი ვართ,
აქ არვინაა მდგომელი, —
სამწუხაროა, მცირე გუნდს,
რომ მოაკლდება მშრომელი!“

დაკრძალვის დროს არტისტმა ბ-ნმა სვიმონიძემ შემდეგი მოკლე, მაგრამ გრძნობით სავსე სიტყვა უთხრა განსვენებულს: „ძვირფასო ძმაო სანდრო! დღეს ჩვენი ქართული დასი ეთხოვება თავისს დაუღალავს და უბადლო ამხანაგს— სცენარიუსს. შენ ემსახურე ქართულ თეატრს ხუთმეტ წელიწადზე მეტი და ყოველ დროს შენ იყავი არა მარტო თეატრის ერთგული და დამაკმაყოფილებელი ყოველივე მისი მოთხოვნილებისა, არამედ ერთგული მეგობარი მსახიობთა და ყოველივე მათი დავალების უნაკლულოდ აღმასრულებელი. შენ დაგვეკარგე, ჩემო სანდრო, უდროვოდ, მაგრამ შენი სახე და სიყვარული ქართულს თეატრს და ქართულს მსახიობს დიდხანს დარჩება გულში და სანამ ქართული თეატრი იცოცხლებს, შენი სახელიც, როგორც დაუღალავი მუშაკისა, უკვდავი იქნება და ქართული თეატრის ისტორიაც არ დაივიწყებს შენს შრომას. საუკუნოდ იყოს ხსენება შენი და დაგემკვიდროს სასუფეველი, ჩემო საყვარელო ძმაო სანდრო!“

შემდეგ ბ. იმედაშვილმა წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც მოკლედ დაახასიათა ა. თამაზიშვილის მოღვაწეობა ქართულს სცენაზე. დაკრძალვა გათავდა ორ საათზე და თვალ-ცრემლიანი, დაღონებული ხალხი შინ დაბრუნდა.

ივ. კავთელი

## თეატრის მატიანე

### ქართული თეატრი

«ალერსთა ბაღი», კომედია 4 მოქმ., გადმოქართულებული პ. უმიკაშვილის მიერ. «დემონი», სცენა ლერმონტოვის პოემიდან, თარგმანი მ. გურიელისა.

წარსულ ხუთშაბათის წარმოდგენა „ოდნავ“ მაინც ქართული იყო და ამისთვისაც უნდა მადლობელი ვიყოთ თეატრის მმართველებისა. ამბობენ, მსახიობთა რიცხვის სიმცირის გამო ვერ დაგვიდგამს ქართული პიესებიო. ანუ: პიესებს ვირჩევთ ტრუპპის ძალღონის მიხედვითო. ვერც ერთი და ვერც მეორე საბუთი ვერ გაუძლებს კრიტიკას.

ჵა მიბძანეთ: სუსტის ქართული დასით რომელი პიესა უფრო ადვილი წარმოსადგენია, ნათარგმნი თუ ქართული? უეჭველია, ქართული, ვინაიდან სულ უვარგისს მსახიობსაც ქართული ტიპის გაგება და შეგნება უფრო ეხერხება და ეადვილება, ვიდრე ფრანგულის ან ინგლისელისა. ყოველ შემთხვევაში ქართველისათვის ქართველისავე წარმოდგენა ადვილია, ვიდრე უცხოელისა.

პეტრე უმიკაშვილი ცნობილი მუშაკია, კარგი მცოდნე ქართულის ენისა, ჭკვიანი და გაფრთხილებული კაცი, დინჯი და დარბაისელი. ყოველივე ეს ეტყობოდა მისს „ალერსთა ბაღსაც“. ხოლო პ. უმიკაშვილის პოეტობა არავის გაუგონია, და აი ეს გარემოებაც ნათლად ეტყობოდა იმავე „ალერსთა ბაღს“. ავიცა და კარგიც „ალერსთა ბაღში“ ეკუთვნიან მისს პირვანდელ ავტორს, „გადმომქართულებელს“ ქართული შიგ ცოტა შეუტანია, გარდა კარგის ქართულის ენისა. ამისთვისაც მადლობელნი ვართ, ესეც ძვირფასია ამ ჩვენს „უნიჭო“ დროში. მხოლოდ ყაფლანმა, „გორჯასპის ძმისწულმა, მოგვაგონა ოდნავ ქართველი თავადიშვილი და ისიც მხოლოდ იმიტომ, რომ ამ როლს ასრულებდა დახელოვნებული არტისტი ბ. კინდელაკი.

ოდნავ ჰგვანდა ქართველ მოხუცს ალვისა — გამდელი (ქ. ჩერქეზიშვილისა). დანარჩენნი პირნი, თვით მოქმედება, ცხოვრება, თვით „ალერსიანობა“ უცხო იყო ქართველისთვის.

ახალ არტისტთა შორის ყურადღება მიიქცია ამ საღამოს ბ. იმერიძემ. მისი თავისუფალი თავის დაჭერა სცენაზე და ბუნებრივი, არა ძალ-დატანებული თამაში—საბუთია იმისი, რომ იგი, უკეთუ იბეჯითებს, კარგი არტისტი დადგება.

„დემონის“ წარმოდგენა იმით იყო შესანიშნავი, რომ საზოგადოება დასტკბა მ. გურიელის მადალ-ნიჭიერ და ჰარმონიულ ლექსების მოსმენით. ქ. კარგარეთელი დღითი-დღე უმეტესს შნოსა და უნარს იჩენს არტისტისას.

მეგახლავარ.

## სამეცნიერო ცნობა

### მცენარეთა მეტყველება (ბოტანიკა)

(შემდეგი*)

ნახევარ ხეებიანი მცენარეები (ПОлудеревья). ამ რიგს ეკუთვნის: ატამი, ალუბალი, „აპელსინი“, ანანასი, ზეთის ხილი, ლიმონი, ნუში, ტყემალი, უნაბი, ქლიავი და შინდი·

ატამი (ქართული, იმერული, მეგრული), პერსიკ, (რუსული), პერსიკა ვულგარის (ლათინური), დეგცენი (სომხური) შავტალი (თათრული), კოდეხა (ლეკური) და ატამა (აბხაზური). ითვლება ასამდისინ ჯურა, რომლებიც ერჩევიან ერთი მეორეს, ნაყოფით, ფერით, გემოთი, დრო-დამწიფებითი, სიმსხოთი, ნაყოფის აგებულობით, (ზოგი მათში საპობია, ზოგი სახრავი) ფოთლებით და მცენარის აგებულებითი. გვარობს ყველგან და ყველა ნიადაგზე, ხოლო უყვარს ცხელი ქვეყნები და ეშინიან ცივი ქვეყნებისა. ყვავის ვარდის ფრათ, მის ყვავილით სარგებლობს ფუტკარი. მის ნაყოფით ამზადებენ მშვენიერ მურაბას, ქელეს, ჰხდიან არაყს, ამზადებენ სხვა და სხვა სასმელებს, ახმობენ ჩირათ და აგრეთვე სდებენ მწნილათაც. *) მრავლდება: თესლით [illegible]ე-

*) იხ. «ცნ. ფურც.» № 685.

*) ამ უკანასკნელს ვარჯიშობენ ზაქათალის მაზრაში.

მოდგომით და გაზაფხულობით და ზაფხულობით. ბევრჯელ თესლზე (კურკაზედ) ამოსულ ატამს მოაქვს უფრო საუკეთესო ნაყოფი, ვიდრე ნამყენები, ამისათვის ბევრ ადგილებში, მაგალითად, როგორც ზაქათალის და ნუხის მაზრებში, არა დროს ნამყენებით არ ამრავლებენ ატამს. ამისათვის სჯობია ცივ ადგილებში, ატამი მოამრავლოთ თესლით, რადგანაც თესლით მოშენებული მცენარე ღრმად იდგამს მიწაში თავის ფესვებს, რის გამო კარგად იტანს სიცივეს.

ალუბალი (ქართული), ქვიშნა (იმერული, გურული, მეგრული) ვიშნია (რუსული) პრუნუს ცერაზუს (ლათინური), ბალენი (სომხური), გაჯი გილას (თათრული), ზერებალი, სეკაბელი (ლეკური) ცახახა (აფხაზური), ბალ (ოსური). ბევრი სხვა და სხვა ჯურისაა, გვარობს ყველგან და ყველა ნიადაგზედ, მას არ ეშინიან არც სიცივისა და არც სიცხისა, ხოლო უყვარს ნოტიო და წყლიანი ადგილები. ყველა ჯურა ერთი ერთმანერთს ერჩევიან: ნაყოფის გემოთი (ზოგი მჟავეა, ზოგი ტკბილი) ფერით, სიმსხოთი, დრო დაწიფებითი, ფოთლების და მცენარეების აგებულებითი. ყვავის თეთრად, მის ყვავილით სარგებლობს ფუტკარი. მის ნაყოფით ამზადებენ მურაბას, ჟელეს, ღვინოს, სხვა და სხვა სასმელებს და ახმობენ კიდევაც, მაგრამ ზაფხულობით მის ნაყოფით, როგორც გასაგრილებელი საჭმელი, ამზადებენ მშვენიერ საჭმელს, რომელსაც სოფლელები უწოდებენ ჭრიანტელს *). მრავლდება: თესლით, ბღარტებით გაზაფხულობით და შემოდგომით, ხოლო ნამყენებით კი გაზაფხულობით და ზაფხულობით (მარტიდან დაწყებული მარიობისთვემდე.)

არჩილ დარეჯანაშვილი

(შემდეგი იქნება)

# დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

21 ნოემბერი

**პეტერბურგი.** ხელმწიფე იმპერატორმა ინება: ჩამოერთვას ენისეის ეპისკოპოსს აკაკის, მისი ავადმყოფობის გამო, ეპარქიის მართვა-გამგეობა; დაინიშნოს ჩერნიგოვის ეპარქიის ვიკარი ნოვგოროდ-სევერის ეპისკოპოსი ექვთიმე ენისეის და კრასნოიარის ეპისკოპოსად და დაინიშნოს ტულის სასულიერო სემინარიის რექტორი არქიმანდრიტი ფილარეტი კირენშის ეპისკოპოსად, ირკუტის ეპარქიის ვიკარად.

დიდი მთავარი ალექსანდრე მიხეილის ძე და დიდი მთავრინა ქსენია ალექსანდრეს ასული უავგუსტოესი შვილებით დაბრუნდნენ ყირიმიდან პეტერბურგს.

**ასხაბადი.** 4 დეკემბერს დაიწყება პირდაპირი მიმოსვლა ამიერკასპიის რკინის გზის მურგაბის შტოზე.

**კონსტანტინეპოლი.** ოთხი საელჩოს დრაგომანებმა ჩააბარეს პორტას უწყების ქაღალდი, რომელიც შეეხება საბერძნეთის ბატონიშვილის გიორგის დანიშვნას კრიტის უზენაეს მმართველად. უწყების ქაღალდს თან ახლავს ნოტა, რომელშიაც განცხადებულია, რომ ოთხი სახელმწიფო დაიცავს კუნძულზე ოტომანის სახელმწიფო ვალის ინტერესებს.

**კანეა.** აკრტირისი და სალეპაპოს მეამბოხენი დიდი ამბით შევიდნენ ქალაქში იარაღის გადასაცემად. მცხოვრებლებმა მეამბოხეთ გულითადი ოვაცია გაუმართეს.

**ვენა.** გაზეთებში დასტამბულია წერილები, იმპერატორის იუბილეის შესახებ; გაზეთები პარტიების განურჩეველად აქებ-ადიდებენ იმპერატორს, როგორც დარაჯს ევროპის მშვიდობიანობისას, მონარქს, რომელიც თავს სდებს მოვალეობის ასასრულებლად. დილიდანვე ასტეხეს იმათ ოფზარბაზნების სროლა. ქალაქი სადღესასწაულოდ არის მორთული. ქუჩები ავსილია აუარებელ ხალხით, რომელიც მორთულია შავყვითელ ლენტებით და სახსოვარ მენდლებით.

22 ნოემბერი

**ლონდონი.** ვაჭრობის მინისტრმა რიტჩიმ წარმოსთქვა კროიდონში სიტყვა, რომელშიაც მოიხსენია: ჩვენი ქვეყანა გაცილებით უფრო მზად იყო საომად, ვიდრე ბევრს ეგონა, მაგრამ თუ არავის შიში არ უგრძვნია, ეს იმის მეოხებით, რომ ჩვენს ქვეყანას სჯერა საერო საგერ საშვალებათა სიძლიერეთ.

საგარეო საქმეთა მინისტრის ამხანაგად ნამყოფმა გრეიმ წარმოსთქვა ბლეკბერნში სიტყვა, რომელშიაც ის აზრი გამოსთქვა, რომ მთავრობამ მოიპოვა ქვეყნის ნდობა უწინდელთან შედარებით უფრო სრულის, გერმანიასა და ინგლისს შორის არსებულის თანხმობის გამო. რატომ არ ცდილობენო, —იკითხა შემდეგ ორატორმა, —რომ მოხდეს შეთანხმება ჩინეთის შესახებ რუსეთთანაო? ჩინეთის საქმე ყველაზე უფრო საძნელო საქმეა, როგორც ინგლისისა, ისე სხვა ქვეყნებისათვისაო. აზიისათვის არსებითი საჭიროებაა, რომ ინგლისისა და რუსეთის მთავრობათა შორის ჩამოვარდა თანხმობა, ორატორი იმ აზრისაა, რომ რუსეთის მთავრობა კეთილ-სინდისიერად ზრუნავს მშვიდობიანობაზე.

**ვაშინგტონი.** მაკ-კინლეი წინადადებას მისცემს კონგრესს, რომ გაყვანილ იქნეს ნიკარგუას არხი შეერთებულ შტატების მთავრობის მიერ, რომელსაც უნდა გადაეცეს ამ საქმის წარმოება, ზღვის არხის ძველი საზოგადოების ხელიდან.

*) ჭრიანტელის მომზადება: აიღეთ ერთი თავ მოდგმული მათლაფა მწიფე ალუბალი, გამოაცალეთ კურკები, დანარჩენი ჩენჩო ხელით მაგრა დაჭყლიტეთ, ზედ დაასხით სამი ან ოთხი მათლაფა ცივი წყალი, ისევ კარგათ დასჭყლიტეთ ჩენჩო, რომ წვენი არ გაჰყვეს. მერე წვენი გაატარეთ ქონდრის ტოტებში ისე, რომ წვენს არ გაჰყვეს ჩენჩო, ეს უკანასკნელი გადაყარეთ, წვენს უყავით ძალიან წმინდად დაჭრილი ხახვი ან ახალი ხახვის ფოთოლი, კამა ქინძი, პიტნა, რეჰანი, ქონდარი და ვისაც სურს წმინდათ დანაყილი ნიგოზი. მერე შიგ ჩააჭერით ერთი ან ორი ქორფა კიტრი, გაუსწორეთ მარილი და ისე მიიტანეთ სუფრაზედ.


Открыта подписка на 1899 годъ

на ежедневную политическ., литературн. и экономич. газету

„Новости"

и на еженедѣльный художественный журналъ

„Петербургская Жизнь".

Изданіе **Высочайше** утвержденнаго акціонернаго общества

„Гуттенбергъ".

Въ газетѣ и журналѣ принимали и принимаютъ участіе:

Анненкова-Бернаръ, Н. П.—Антокольскій, М. М.—Баранцевичъ, К. С.—Бильбасовъ В. А.—Билибинъ, В. В.—Бильдерлингъ, А. А.—Бирюковичъ, В. В.—Боборыкинъ, П. Д.—Быстренинъ, В. М.—Бѣловъ, В. Д.—Василевскій, И. Ѳ. (Буква).—Ватсонъ, М. К.—Вейнбергъ, П. И.—Венгеровъ, С. А.—Венгерова, З. А.—Верещагинъ, В. В.—Веселовская, А. А.—Веселовскій. А. Н.—Веселовскій, Ю. А.—Глинскій. Б. Б.—Головачевъ, А. А.—Гольдштейнъ, М. Ю. (CARDANUS).—Далматовъ, В. П.—Исаевъ, А. А.—Капнистъ Ида, гр.—Кауфманъ, Ил. И.—Карабчевскій, Н. П.—Кулишеръ, М. И.—Красновъ, П. Ю.—Кудряшевъ, М. И.—Кюи, П. А.—Ламанскій, Е. И.—Ламанскій, С. И.—Лихач А. В.—Ломброзо Чезаре.—Максимовъ, С. В.—Мантегацца-Паоло.—Михневичъ, В. О. Мордовцевъ, Д. Л.—Недзвѣцкій, В. И.—Немировичъ-Данченко, В. Н.—Никитинъ, В. Н.—Никольскій, Д. П.—Оболенскій, Л. Е.—Оршанскій, И. Г.—Острогорскій, В. П.—Петровъ, М. П.—Песковскій. М. Л.—Петрушевскій, Ѳ. Ѳ.—Пименовъ, Э. К.—Писаревъ, М. И.—Плющикъ-Плющевскій Я. А.—Покровская, М. И.—Полонск..., Л. А.—Радловъ, Э. Л.—Радцигъ, А. А.—Русанова, К. П.—Сафоновъ, С. А. (Печоринъ),—Селивановъ, Н. А.—Случевскій, В. К.—Соловьевъ, Вл. С.—Соловьевъ, Е. А. (Скриба).—Сологубъ, Ѳ.—Спасовичъ, В. Д.—Стасовъ, В. В.—Стулли, Ѳ. С.—Трачевскій, А. С.—Умановъ-Каплуновскій, В. В.—Ферреро Гульельмо.—Фирсовъ, Н. Н. (Рускинъ).—Фламмаріонъ Камиллъ.—Хвольсонъ, О. Д.—Чуйко, В. В.—Чюмина, О. Н.—Энгельгардтъ, М. А.

Подписка на „Новости" въ 1899 году.

на 1-е (большое) изданіе:

| | на годъ р. к. | 11 м. р. к. | 10 м. р. к. | 9 м. р. к. | 8 м. р. к. | 7 м р. к. | 6 м. р. к. | 5 м. р. к. | 4 м. р. к. | 3 м. р. к. | 2 м. р. к. | 1 м. р. к. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| Безъ доставки | 14 50 | 13 — | 12 — | 10 50 | 9 80 | 9 — | 8 — | 6 80 | 5 50 | 4 — | 2 80 | 1 50 |
| Съ дост. по гор. почтѣ | 16 — | 15 — | 13 50 | 12 — | 11 — | 10 — | 9 — | 7 50 | 5 80 | 4 50 | 3 30 | 1 80 |
| Съ перес. иногородн. | 17 — | 15 50 | 14 50 | 13 50 | 12 10 | 11 30 | 10 — | 8 50 | 7 — | 5 50 | 4 — | 2 — |
| За границу . . . | 26 20 | 24 50 | 23 — | 21 — | 18 50 | 16 — | 14 — | 12 — | 10 — | 8 — | 6 — | 3 50 |

на 2-е (малое) изданіе:

| | на годъ р. к. | 11 м. р. к. | 10 м. р. к. | 9 м. р. к. | 8 м. р. к. | 7 м. р. к. | 6 м. р. к. | 5 м. р. к. | 4 м. р. к. | 3 м. р. к. | 2 м. р. к. | 1 м. р. к. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| Съ дост. по гор. почтѣ | 9 — | 8 50 | 8 — | 7 50 | 7 — | 6 50 | 6 — | 5 — | 4 — | 3 — | 2 — | 1 — |
| Съ перес. иногородн. | 10 — | 9 50 | 9 — | 8 50 | 8 — | 7 — | 6 — | 5 — | 4 — | 3 — | 2 — | 1 — |
| За границу . . | 18 — | — | — | — | — | — | 10 — | — | — | 6 — | — | 2 — |

**Подписывающіеся на «Новости» вмѣстѣ съ «Петербургскою Жизнью»** доплачиваютъ къ подписной цѣнѣ на «Новости» (каждаго срока) только одинъ рубль.

Разсрочка платежа годовой подписной цѣны допускается: для служащихъ—по третямъ черезъ ихъ казначеевъ, а для другихъ лицъ—по соглашенію съ конторою.

Деньги и письма адресуются: Петербургъ, въ контору газеты «Новости» Б. Морская, № 17. Адресъ для телеграммъ: Петербургъ, «Новости».

Подписка на «Новости» вмѣстѣ съ «Петербургской Жизнью» представляетъ ту выгоду, что подписчикъ за прибавку ОДНОГО рубля къ подписной цѣнѣ газеты пріобрѣтаетъ еженедѣльно иллюстрированный журналъ, заключающій въ себѣ обширный беллетристическій, научный и др. матеріалъ и массу художественныхъ воспроизведеній событій дня. Прибавка одного рубля не покрываетъ даже расходовъ на пересылку журнала, стоющую болѣе рубля, и, такимъ образомъ, подписчикъ получаетъ журналъ даромъ при нѣкоторой приплатѣ со стороны редакціи къ стоимости пересылки.

**Условія отдѣльной подписки на иллюстрированный журналъ**

„Петербургская Жизнь"

*Подписная цѣна журнала:* безъ доставки и пересылки: на 1 годъ 5 р., на 6 мѣс.—3 р., на 3 мѣс.—1 руб. 75 коп. Съ доставкою и пересылкою: на 1 годъ—6 р., на 6 мѣс.—3 р., на 2 мѣс.—1 р.

**Журналъ выходитъ по воскресеньямъ.**

При конторѣ газ. „Новости" существуетъ **КНИЖНЫЙ МАГАЗИНЪ** услугами котораго подписчики «Новостей» пользуются на льготныхъ условіяхъ.

(8—2) Отвѣтственный редакторъ-издатель *О. К. Нотовичъ.*